

განმარტებითი ბარათი
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის
შესახებ“ საქართველოს კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიზლის მიზმი:

– საწარმოთა სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის პროცედურები საჭიროებს კიდევ უფრო გამარტივებას და რეგისტრაციის ვადების ოპტიმიზაციას;

– „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2005 წლის 24 ივნისის შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, რომლითაც საწარმოს რეგისტრაციისა და სამეწარმეო რეესტრის წარმოებას 2005 წლის 1 სექტემბრიდან ახორციელებენ საგადასახადო ინსპექციები, ამ კანონის ზოგიერთი ნორმა ერთმანეთთან წინააღმდეგობრივია.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს საწარმოთა სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებას და რეგისტრაციის ვადების ოპტიმიზაციას, აგრეთვე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ცალკეული მუხლების შესაბამისობაში მოყვანას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი საწარმოების სახელმწიფო რეგისტრაციისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით საგადასახადო რეგისტრაციის პროცესის ოპტიმიზაცია (გამარტივება), რაც შემდეგში გამოიხატება:

- ამჟამად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაცია უნდა დასრულდეს 3 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო საგადასახადო კოდექსით საიდენტიფიკაციო ნომერის მინიჭება (ანუ საგადასახადო რეგისტრაციაზე აყვანა) ხორციელდება 5 სამუშაო დღეში. მთლიანობაში სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის ვადა (3+5) 8 დღეს ითვალისწინებდა, ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია დასრულდება ერთდროულად 3 სამუშაო დღის განმავლობაში;

- ანალოგიური მიდგომა იქნება ინდ. მეწარმეების მიმართაც, თუ დღეს ინდ. მეწარმის სამეწარმეო და საგადასახადო რეგისტრაცია 6 დღეში (1+5) ხორციელდება, მათთვის ორივე გემოაღნიშნული პროცესი დასრულდება 1 სამუშაო დღეში;

- შემოთავაზებული წინადადებებით საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციისათვის არ მოითხოვება მონაცემები სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ და ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესახებ. ამასთან, საზოგადოების წესდების 5 ეგზემპლარის მაგივრად მოითხოვება მხოლოდ 2 ეგზემპლარი;

- კანონის მე-16 მუხლი `ფილიალების რეგისტრაცია` შესაბამისობაში მოდის კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნებთან. ცვლილებით საწარმოთა ფილიალების სახელმწიფო რეგისტრაციას განახორციელებენ საგადასახადო ორგანოები. ამასთან, შემოთავაზებული წინადადებებით, საწარმოს ფილიალების რეგისტრაციისათვის არ იქნება საჭირო ფილიალის საქმიანობის მოკლე აღწერა, საწარმოს წესდების ასლი და საწარმოს რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა.

- განიმარტა უცხოეთის საწარმოების ფილიალების (წარმომადგენლობების) სახელმწიფო რეგისტრაციის საკითხები. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, აღნიშნული საკითხი ბუნდოვანია და არ არის დაკონკრეტებული.

- სრულყოფილი ხდება კანონით განსაზღვრული სამეწარმეო სუბიექტების სახელმწიფო რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო ბარათები (ნიმუშები).

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს გავლენას ფინანსურ შედეგებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისგემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს მთავრობა.